

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა  
ცენტრის მიერ (HRIDC)



ადამიანის უფლებათა ცენტრი გამოხატავს მადლიერებას შემდეგი  
ორგანიზაციების მიმართ, რომელთა ფინანსური მხარდაჭერითაც  
მომზადდა და გამოიცა აღნიშნული ანგარიში: კორდეიდი  
(CORDAID - ნიდერლანდები) ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი  
(NHC), ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (NED - აშშ)

რედაქტორები: უჩა ნანუაშვილი და ნინო ღვედაშვილი  
ანგარიში მოამზადებული ბრაიან სელსის და ჯეკ ზიბელის მიერ  
ფოტოები გადაღებულია სტეისი მორინსკის და გელა მთივლიშვილის მიერ  
ანგარიში ინგლისურიდან თარგმნეს ნინო ტლაშაძემ და ნინო ღვედაშვილმა



## სარჩევი

წინათქმა	4
მოკლე შინაარსი	4
საქართველოს სახელშეკრულებო ვალდებულებანი	6
თავშესაფრის მიცემა	7
არ გამეგება/ექსტრადიცია	9
რუსეთის ფედერაცია და ჩეჩნეთი	10
ჩეჩენი ლტოლვილების ექსტრადიცია რუსეთის ფედერაციაში	11
სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი	13
სასამართლოს ხელმისაწვდომობა	15
ხელმისაწვდომობა დასაქმებაზე	17
სამომავლო გეგმები	18
რეკომენდაციები	20
დანართი I	22
დანართი II	23

## წინათქმა

აღნიშნული ანგარიში მოიცავს პერიოდს 1999-დან 2006 წლამდე და მიმოიხილავს ჩეჩენ ლტოლვილთა სიტუაციას საქართველოში. მოხსენებაში ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რამდენად ასრულებს საქართველოს მთავრობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს ლტოლვილ შესახებ. ამასთანავე, იგი მოიცავს საქართველოში ჩეჩენ ლტოლვილთა უფლებების ხელყოფის ფაქტებს. ანგარიში რეკომენდაციებს აძლევს საქართველოს მთავრობას და მის შესაბამის ორგანოებს, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილ იქნას ჩეჩენი ლტოლვილების უფლებების დაცვა.

## მოკლე შინაარსი

1999 წელს ჩეჩნეთ-რუსეთის კონფლიქტის განახლების შემდეგ, რუსეთის ფედერაციიდან დაახლოებით 8 000 ჩეჩენი ლტოლვილი გადმოვიდა საქართველოში.<sup>1</sup> მათთვის ჯერაც საფრთხეს წარმოადგენს სამშობლოში დაბრუნება, სადაც კვლავ ემუქრებათ დევნის, ფულის გამოძალვისა და 'გაუჩინარების' საფრთხე.

ლტოლვილთა უმრავლესობას წარმოადგენენ ეთნიკურად ჩეჩენი და ქისტის მოსახლეობა. ჩეჩენთა და ქისტთა უმრავლესობა, რომლებიც სამხრეთ რუსეთიდან (ჩეჩნეთიდან) შემოვიდნენ, პანკისის ხეობაში დასახლდნენ. პანკისის ხეობა კახეთის რეგიონში, თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. დანარჩენი ლტოლვილები დასახლდნენ თბილისში. ლტოლვილების პანკისში დასახლების მიზეზი იყო ის, რომ აღნიშნული ტერიტორია ძირითადად დასახლებულია ეთნიკური ქისტებით; ბევრ მათგანს ნათესაური კავშირი აქვთ ლტოლვილებთან. ამასთან ერთად, ლტოლვილებს საქართველოში დასახლება შეეძლოთ მხოლოდ იმ ადგილას, რომელსაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო შესთავაზებდა. სამინისტრომ ჩეჩნეთიდან ლტოლვილებს პანკისის ხეობა შესთავაზა დასახლებლად.

ქისტებიც და ჩეჩნებიც საუბრობენ ჩეჩნურად. თუმცა, ქისტები უკვე დიდი ხანია, რაც კახეთში არიან დასახლებულნი, მათ შორის, პანკისის ხეობაში. ქისტ ლტოლვილთა უმრავლესობა დაიბადა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლამდე.<sup>2</sup> საქართველოსთან არსებული კავშირის გამო, ქისტებს შეუძლიათ ქართულად საუბარი და გაიგივებულები არიან ქართველებთან. ამის საპირისპიროდ, ჩეჩენი ლტოლვილები ვერ ლაპარაკობენ ქართულად და საკუთარ თავს პოლიტიკურად და კულტურულად ქართველებისაგან გამორჩეულად მიიჩნევენ.<sup>3</sup>

აღნიშნული კულტურული სხვაობის გამო, საქართველოს გაეროს ასოციაციამ პანკისის ხეობაში ლტოლვილების არასრული გამოკითხვის შედეგად (110 რესპოდენტი იყო ქისტი და 91 - ჩეჩენი) აღმოაჩინა, რომ ქისტ რესპოდენტთა 36 პროცენტი არჩევს დარჩეს საქართველოში და მოხდეს მათი ინტეგრირება. მაშინ, როცა ჩეჩენ რესპოდენტთა მხოლოდ 8 პროცენტი ირჩევდა ინტეგრირებას. ამის საპირისპიროდ, ჩეჩენ რესპოდენტთა 73 პროცენტი ირჩევს მესამე ქვეყანაში გადასვლას და ქისტ რესპოდენტთა მხოლოდ 51 პროცენტი ირჩევდა ამ გზას.

<sup>1</sup> სტატისტიკა ამოღებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკი) 2004 წლის ყოველწლიური სტატისტიკიდან რუსეთის ფედერაციაში ლტოლვილი მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების მიხედვით 1998-2001 წლებში.

<sup>2</sup> საქართველოს გაეროს ასოციაციის კვლევა პანკისის ხეობაში ჩატარებული 2005-06 წწ-ში, რომელთაგანაც რესპოდენტთა 45 პროცენტი აცხადებდა, რომ დაიბადა საქართველოში რუსეთის ფედერაციაში წასვლამდე.

<sup>3</sup> იხილეთ საქართველოს გაეროს ასოციაციის მონაცემები ქისტთა და ჩეჩენთა კულტურული ინტეგრაციის შესახებ

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2005 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოში 2 548 ლტოლვილია რეგისტრირებული ჩეჩენებიდან, რომელთაგანაც 2 515 პანკისის ხეობაშია დასახლებული, ხოლო დანარჩენი 33 თბილისში ცხოვრობს. ამ პერიოდში ჩეჩენ ლტოლვილთა საკოორდინაციო საბჭომ გამოაქვეყნა თბილისსა და პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილთა რაოდენობა. აღნიშნული ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2005 წლის დასაწყისში, თბილისში 142 ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობდა, ხოლო დანარჩენი 344 - პანკისის ხეობაში. აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს, რომ პანკისის ხეობის ლტოლვილთა მხოლოდ მეხუთედს წარმოადგენს ჩეჩენური წარმოშობის მოსახლეობა, დანარჩენები კი ქისტები არიან.

ჩეჩენებისა და ქისტების ერთმანეთისაგან გარჩევა მნიშვნელოვანია, რადგან თითოეულ ეთნიკურ ჯგუფს გააჩნია საკუთარი კომპეტენტური არჩევანი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადაწყდეს მათი ლტოლვილის სტატუსის საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებულმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობამ 2003 – 2004 წლებში მხოლოდ 173 ჩეჩენი ლტოლვილი გადაიყვანა მესამე ქვეყანაში, საქართველოში დარჩენილი ჩეჩენი და ქიტი ლტოლვილებისათვის მესამე ქვეყანაში გადასახლების შესაძლებლობა არარეალურია.<sup>4</sup> დღეისათვის სინამდვილეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მესამე ქვეყნების უმრავლესობა თავს იკავებს ეთნიკურად ჩეჩენი მოსახლეობის მიღებაზე. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკის) ინფორმაციით, მესამე ქვეყნები, როგორცაა შვედეთი და კანადა, 2005 წლამდე ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი რაოდენობით მიმღები ქვეყნები იყო. ცვლილებებმა, რაც მიმდინარეობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პოლიტიკაში მესამე ქვეყანაში გადასახლების შესახებ ('ტერორიზმთან ომის' გამო), გამოიწვია საქართველოდან ლტოლვილების მესამე ქვეყანაში ლტოლვილთა გადასახლების რაოდენობის შემცირება.<sup>5</sup>

1999 წლიდან ჩეჩენი ლტოლვილები თვითგადარჩენისთვის იბრძვიან. შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეობის მიღებისა კი, საკმაოდ შეზღუდულია. უახლოეს მომავალში საქართველოში დარჩენილ ლტოლვილთა უსაფრთხო რეპატრაციის ნაკლები შანსი არსებობს, ამასთანავე, არც მათი ნატურალიზაცია მომხდარა ჯერ. საქართველოს მოქალაქეობის მიღება კი ხანგრძლივი და რთული პროცესია (ეს პროცესი შესაძლოა 10 წელი გაგრძელდეს).<sup>6</sup>

ამასობაში კი, ლტოლვილები იძულებულნი არიან იცხოვრონ პანკისის ხეობაში გაურკვეველ მდგომარეობაში; არ შეუძლიათ შინ დაბრუნება, მესამე ქვეყნები უარს აცხდებიან მათ მიღებაზე და არც მოქალაქეობის მიღება და სამსახურის შოვნა ხელეწიფებათ საქართველოში.

გადატანილმა კონფლიქტმა ლტოლვილთა უმრავლესობა ტრავმირებული დატოვა და დღესაც იმ მუდმივი შიშის ქვეშ აგრძელებენ ცხოვრებას, რომ ერთ დღესაც, შესაძლოა, იძულებულნი გახდნენ რუსეთის ფედერაციაში დაბრუნდნენ. მათ შიშს ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ ცნობილი ჩეჩენები, რომლებიც მუშაობდნენ მედიასა და ჰუმანიტარულ სექტორში, საქართველოს სამართალდამცავი სისტემის სამიზნეები აღმოჩნდნენ. ყოველივე ამის გამო, ლტოლვილები პაიკებივით გრძნობენ თავს იმ პოლიტიკურ თამაშში, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს და მომავლის არანაირი იმედი არ აქვთ.

<sup>4</sup> იხილეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პრეს რელიზი გადასახლების შესახებ

<sup>5</sup> იხილეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პრეს რელიზი გადასახლების შესახებ

<sup>6</sup> საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ: მე-2 თავის 26-ე მუხლი; (ინტერვიუ ირაკლი კოკაიასთან - ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა მიგრაციის და რეპატრაციის სამმართველოს უფროსი. გაეროს ასოციაციის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ბიულეტენი # 3, 2006 ).

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, რომ ჩეჩენ ლტოლვილებს, რომლებიც რთულ პირობებში ცხოვრობენ საქართველოში, შესთავაზონ რაიმე გადაწყვეტილება, რაც მათ პრობლემას ხანგრძლივი დროით მოაგვარებს. ადამიანის უფლებათა ცენტრი ასევე მოითხოვს, საქართველოს მთავრობამ შეწყვიტოს ლტოლვილთა უფლებების დარღვევა. ცენტრს მიაჩნია, რომ დარჩენილი ეთნიკურად ჩეჩენი ლტოლვილების მესამე ქვეყანაში გადასახლება ოპტიმალური გამოსავალია, თუკი ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება. რაც შეეხება ეთნიკურად ქისტ ლტოლვილებს, ადამიანის უფლებათა ცენტრი მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გადადგას ნაბიჯები მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის.

### საქართველოს სახელმწიფო ვალდებულებანი

საქართველო რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე მხარეა, რომელიც ლტოლვილთა მიმართ მოპყრობას არეგულირებს. საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში პირველ საფეხურზე დგას საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ.<sup>7</sup> ამ ხელშეკრულებებიდან, ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ლტოლვილებთან დაკავშირებით არის:

- 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებით და 1967 წლის პროტოკოლი, რომელმაც ცვლილება შეიტანა 1951 წლის 'ლტოლვილის' განსაზღვრებაში, რათა იმ ლტოლვილებსაც შეეხებოდა, რომლებიც 1951 წლის შემდეგ გახდნენ ლტოლვილები. საწყისი კონვენცია იძლევა 'ლტოლვილის' დეფინიციას და მონაწილე მხარის დამოკიდებულებას და მოპყრობას მათ მიმართ.
- წამების საწინააღმდეგო კონვენცია, რომელიც განსაზღვრავს 'წამებას' და ვალდებულებებს, რომელიც მონაწილე მხარეს გააჩნია 'წამების' და 'უხეშად მოპყრობის' აღკვეთასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც 'არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას თუ დასჯას, რაც არ უთანაბრდება წამებას'.

საქართველომ მიიღო ასევე შიდა კანონი ლტოლვილთა შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი მოიცავს 'ლტოლვილის' იგივე დეფინიციას, რასაც კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ, ეს კანონი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კონვენციასთან. კონვენცია განსაზღვრავს, რომ ლტოლვილებს შეუძლიათ მოითხოვონ 'ლტოლვილის სტატუსი' მაშინაც კი, სანამ საქართველოს მთავრობა მიიჩნევს მათ ლტოლვილად.<sup>8</sup>

ვინაიდან საერთაშორისო ხელშეკრულება მაღლა დგას საქართველოს ადგილობრივ საკანონმდებლო სისტემაზე, შესაძლებელია, რომ ადამიანი ჩაითვალოს ლტოლვილად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე. ძირითადი პრობლემა ის არის, რომ საქართველოს მთავრობა კვლავაც არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს კანონთა თანმიმდევრობას. აღნიშნული ანგარიში ცდილობს, განსაზღვროს ჩეჩენი და ქისტი ლტოლვილების უფლებები საქართველოს მთავრობის წინაშე და გამოყოს ის მაგალითები, სადაც საქართველოს მთავრობამ არ

<sup>7</sup> კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 19-ე მუხლი

<sup>8</sup> იხ. ლტოლვილთა შესახებ კანონის მე-2 მუხლი

დაიცვა ის უფლებები, რისი უზრუნველყოფის ვალდებულებაც მას აღებული აქვს საკუთარი კანონმდებლობით.

### თავშესაფრის მიცემა

საერთაშორისო კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ პირველი მუხლი შემდეგნაირად იძლევა 'ლტოლვილის' განსაზღვრებას:

ნებისმიერი პირი მიიჩნევა ლტოლვილად... საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია, ან ამგვარი შიში გამო არ სურს იქ დაბრუნება.

კონვენციის 31-ე მუხლი მოითხოვს, რომ:

ხელშემკვრელი სახელმწიფოები არ დასჯიან მათ ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლის ან ყოფნისთვის ლტოლვილებს, რომლებიც შემოვიდნენ უშუალოდ იმ ტერიტორიებიდან, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას პირველი მუხლით გათვალისწინებული საშიშროება ემუქრებოდა. უნებართვოდ იმყოფებიან ამ სახელწიფოს ტერიტორიაზე იმ პირობით, რომ ასეთი ლტოლვილები თავად გამოცხადდებიან ხელისუფლების ორგანოებში და სათანადო განმარტებებს წარადგენენ თავისი უკანონოდ შემოსვლის ან ყოფნის შესახებ.

საბოლოოდ, კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს, რომ:

ხელშემკვრელი მხარეები ამ კონვენციის დებულებებს გამოიყენებენ ლტოლვილთა მიმართ რასის, რელიგიის თუ წარმოშობის ქვეყნის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

### საიდ სალახ კადიევის საქმე

რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ, ეთნიკურად ჩეჩენმა საიდ სალახ კადიევმა საქართველოს საზღვარი აზერბაიჯანიდან 2003 წელს გადმოკვეთა და საქართველოში დარჩა. 2005 წლის მაისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა კადიევი საქართველოს ვიზის არ ქონის გამო დააპატიმრეს. საბოლოოდ კადიევს ექვსთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.<sup>9</sup>

ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით, კადიევმა შესძლო წინ აღსდგომოდა სახელმწიფოს მცდელობას, მისი პატიმრობის გაგრძელების თაობაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრი მას დაეხმარა, რომ მიემართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის, ლტოლვილის სტატუსის მიღების თხოვნით. 2005 წლის 29 ნოემბერს, სასჯელის მოხდის შემდეგ, კადიევი გაათავისუფლეს.

მიუხედავად იმისა, რომ კადიევი დროულად ვერ გამოცხადდა „ხელისუფლების ორგანოებში“ საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ კადიევის დასჯამ დაარღვია კონვენციის 31-ე მუხლი, რომელიც ეხება ლტოლვილის სტატუსს. ცენტრი საქართველოს მთავრობას სთხოვს, რომ ლტოლვილებს მიეცეს შესაბამისი იურიდიული დახმარება,

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული დახმარების განყოფილების ინფორმაცია

რათა მათ შესძლონ მოითხოვონ ლტოლვილის სტატუსი მანამ, სანამ მოხდებოდეს მათი დასჯა არალეგალური მიგრაციისათვის.

### ძმები წითიაშვილების საქმე<sup>10</sup>

2005 წლის მარტში, მას შემდეგ, რაც ძმები წითიაშვილები შემოვიდნენ საქართველოში, მათ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნით მიმართეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. სამი დღის განმავლობაში, სანამ ისინი მიიღებდნენ სამინისტროსგან ლტოლვილის სტატუსს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ისინი დააკავა და გადაიყვანა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ნეიტრალურ ზონაში. საბოლოოდ, შსს თანამშრომლებმა წითიაშვილები აზერბაიჯანში გააძევეს.

სინამდვილეში, შსს-ს ჰქონდა უფლება მსგავსი ქმედებისა, რადგან ლტოლვილთა შესახებ კანონის თანახმად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აქვს სამი დღე იმისათვის, რათა გადაწყვიტოს აპლიკანტის რეგისტრაცია. მას შემდეგ, რაც იგი რეგისტრირებულია, აპლიკანტს შეუძლია მიიღოს დროებითი ჩასახლების უფლება ამავე კანონის მესამე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. თუმცა, იმის გამო, რომ ძმები წითიაშვილები ჯერ არ იყვნენ რეგისტრირებულნი, მათ არ ჰქონდათ უფლება დროებით ჩასახლებაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, გამოასწოროს არსებული ხარვეზი საქართველოს ამჟამინდელ კანონში იმით, რომ დაევალოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, გასცეს დროებითი ჩასახლების უფლება მაშინვე, როგორც კი პოტენციური ლტოლვილი მიმართავს სამინისტროს სტატუსის შესახებ. საქართველოს მთავრობამ პატივი უნდა სცეს საერთაშორისო კონვენციას ლტოლვილის სტატუსის შესახებ და აღიაროს ის პრინციპი, რომ კონვენციის მიხედვით, არალეგალური მიგრანტი შესაძლოა იქნეს მიჩნეული ლტოლვილად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსადმი მიმართვის გარეშე.

### მაჰმედ გაზიმევის საქმე

2005 წლის ნოემბერში, მაჰმედ გაზიმევი, ეთნიკურად ჩეჩენი რუსეთის მოქალაქე, თბილისის აეროპორტიდან უკან გააძევეს რუსეთში. ის საქართველოში მეგობრის ქორწილში მოდიოდა. იმის გამო, რომ მას ყველა დოკუმენტი წესრიგში ჰქონდა, ის მიიჩნევს, რომ მისი დეპორტაციისა და საქართველოში არ შემოშვების ერთად-ერთი მიზეზი იყო მხოლოდ და მხოლოდ მისი ჩეჩენური წარმოშობა.<sup>11</sup>

ამასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა სხვადასხვა წყაროებიდან შეიტყო, რომ არსებობს შინაგან საქმეთა მინისტრის ზეპირი ბრძანება, რომელიც მესაზღვრეებს უკრძალავს საქართველოში შემოუშვას ჩეჩენი და არაბი ეთნიკური წარმოშობის ადამიანები.

ლტოლვილის სტატუსის შესახებ კონვენციის მესამე მუხლი ნათლად განსაზღვრავს, რომ ლტოლვილის სტატუსის მიღება არ უნდა იყოს შეზღუდული „რასის, რელიგიის თუ წარმოშობის ქვეყნის ნიშნით“. სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტიდან უკან გაძევება იმ ადამიანებისა, რომლებიც კონვენციის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნით შემოდიან ქვეყანაში, მათი ეთნიკური წარმომავლობა შეფერხების მიზეზი ხდება.

<sup>10</sup> <http://www.humanrights.ge/eng/articles.php?tbl=articles&id=80>

<sup>11</sup> ინფორმაცია, რომელსაც არ ექნება მითითებული წყარო, გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მონაცემები ან ინფორმაცია ინტერნეტ გაზეთიდან: <http://www.humanrights.ge>



მიუხედავად იმისა, რომ გაზომიერი არ იყო სავარაუდო ლტოლვილი, ეს ფაქტი არის უდაო მტკიცებულება საქართველოს მთავრობის დაუწერელი კანონისა და პოლიტიკისა ჩეჩენი და არაბი ადამიანების საზღვრიდანვე უკან გაძევების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კონვენციის მიხედვით, ამ ადამიანებიდან რომელიმე კვალიფიცირდება, როგორც ლტოლვილი, მაშინ გამოდის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არღვევს კანონმდებლობას, სადაც საერთაშორისო კონვენციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ არ მოახდინოს საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მამიებელი ჩეჩენი და ქისტი ეროვნების წარმომადგენელთა დისკრიმინაცია.

### სხვადასხვა ოჯახების საქმე

2005 წლის მარტში, პანკისის ხეობაში მცხოვრები ლტოლვილთა დაახლოებით 80 ოჯახი, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტაში ადანაშაულებს. საქართველოს სახალხო დამცველის კახეთის ოფისმა გამოძიება დაიწყო აღნიშნულ ფაქტზე. ზემოაღნიშნული 80 ოჯახიდან, 35 ოჯახის საქმე არასრული დოკუმენტაციის გამო არ განუხილავს სახალხო დამცველს. დანარჩენი 12 ოჯახი ახმეტის რაიონში იყო რეგისტრირებული. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა გაარკვიეს, რომ ლტოლვილთა შესახებ კანონის მეათე მუხლის მეორე ნაწილით, ამ ოჯახებს არ აქვთ უფლება, მოითხოვონ ლტოლვილის სტატუსი, რადგან „განზრახ წარადგინეს ცრუ ინფორმაცია და გააყალბეს ის დოკუმენტები, რომელიც ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენდა მათთვის ლტოლვილის სტატუსის მისანიჭებლად“. საქართველოს სახალხო დამცველმა ამ ლტოლვილებს ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე, ოფიციალური უარი გაუგზავნა.<sup>12</sup>

ადამიანის უფლებათა ცენტრს სურს შეახსენოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და საქართველოს სახალხო დამცველს, რომ კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ და არა საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ, განსაზღვრავს კანონს საქართველოში და, რომ კონვენციის მიხედვით, ლტოლვილი მაინც რჩება ლტოლვილად, მიუხედავად იმისა, საქართველოს მთავრობა მიანიჭებს თუ არა მას ამ სტატუსს. ლტოლვილის სტატუსის მინიჭება არის სუფთა ადმინისტრაციული საქმე, რაც არ გულისხმობს იმის განსაზღვრას, არის თუ არა ეს ლტოლვილი ნამდვილად ლტოლვილი კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით. თუკი საქართველოს მთავრობას არ სურს დაიცვას კონვენცია ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით და ურჩევნია გაითვალისწინოს მხოლოდ შიდა კანონი ლტოლვილების შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მან უარი უნდა განაცხადოს კონვენციის ხელშემკვრელ მხარედ დარჩენაზე და თავს არ აჩვენებდეს, თითქოს იგი იცავდეს საერთაშორისო კანონებს, თუმცა მათ უგულებელჰყოფს, როგორც კი იგი საერთაშორისო ყურადღების ცენტრს მოშორდება.

### არ გაძევება/ექსტრადიცია

საქართველოში ჩეჩენი ლტოლვილები კვლავ რუსეთში გაძევების შიშით ცხოვრობენ, სადაც ისინი შესაძლოა აღმოჩნდნენ წამებისა თუ სხვა უხეში, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის მსხვერპლნი. ზოგი მათგანი ასევე შესაძლოა, დაბრუნების შემთხვევაში, დასაჯონ გაუსამართლებლად.

<sup>12</sup> ალტერნატიული ანგარიში გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (მომზადებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისა (FIDH) და ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ (HRIDC)) [http://www.humanrights.ge/eng\\_/angarishebi.php](http://www.humanrights.ge/eng_/angarishebi.php)

არ გაძევების პრინციპი არის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის ფუნდამენტური ნაწილი. მისი 33-ე მუხლი აცხადებს:

არც ერთი სახელმძღვანელო მხარე არ გაასახლებს ან დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსის გამო.

წამების საწინააღმდეგო კონვენციის მესამე მუხლი მოითხოვს, რომ:

არც ერთმა მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა გააძეოს, დააბრუნოს ან გადასცეს პირი სხვა სახელმწიფოს, სადაც მისი წამების საშიშროების რეალური საფუძველი არსებობს.

იმის დასადგენად, არსებობს თუ არა საფუძველი, უფლებამოსილმა ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა სათანადო ფაქტორი, მათ შორის მოცემულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა მასიური, დაუდევარი და მძიმე დარღვევების შესაბამისი პრაქტიკის არსებობა.

### რუსეთის ფედერაცია და ჩეჩნეთი

რუსეთის ფედერაციას ხშირად ადანაშაულებენ „ადამიანის უფლებების ძლიერ, საშინელ და მასობრივ დარღვევებში“, განსაკუთრებით კი იმ კონფლიქტთან დაკავშირებით, რაც მას გააჩნია ჩეჩნეთთან. 2005 წელს ჰიუმან რაიტს ვოჩი (Human Rights Watch) წერდა:

რუსული და პრო-რუსული ჩეჩნური ძალები პასუხისმგებელი არიან რეიდისას არაერთ უკანონო დაკავებებზე, მაროდობაზე, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე და გაუსამართლებლად დასჯაზე. დაკავებულები კი ხდებიან ცემისა თუ წამების სხვა ფორმის მხვერპლნი, რაც მიმართულია იმისკენ, რომ მიიღონ იძულებითი აღიარება ანდა ინფორმაცია ჩეჩნურ პარტიზანულ დაჯგუფებებზე. ეს ძალები დრო და დრო სძალავენ ფულს დაკავებულთა ახლობლებს მათი გათავისუფლების სანაცვლოდ.<sup>13</sup>

საერთაშორისო ამნისტია ადასტურებს ამ შეხედულებას:

ჩეჩნეთის კონფლიქტი, ფართოდ გავრცელებული და სანდო მოხსენებების მიხედვით, შეფასდა ისე, რომ რუსეთის ძალები არღვევდნენ ჰუმანრიტარული სამართლისა და საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს, რომელთა შორისაც არის 'გაუჩინარებები', გაუსამართლებელი დასჯები და წამება გაუპატიურების ჩათვლით.<sup>14</sup>

მსგავსი ფაქტები ჩეჩნეთში არაა გამონაკლისის სახით, არამედ სისტემატიურია და დრო და დრო მეორდება. 'ჰიუმან რაიტს ვოჩის' შეფასებით, ბოლო ექვსნახევარი წლის მანძილზე 3 000-დან 5 000-მდე ადამიანი გაუჩინარდა ჩეჩნეთში.<sup>15</sup> ლტოლვილები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოკითხა პანკისის ხეობაში, შიშობენ, რომ ჩეჩნეთში დაბრუნების შემთხვევაში, ისინიც შეიძლება გაიტაცონ გამოსასყიდის მიღების მიზნით ან უბრალოდ მოკლან.

<sup>13</sup> რუსეთის ფედერაცია/ჩეჩნეთი: გაეროს ადამიანის უფლებათა 61-ე სესიის შემფოთების საგანი ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, „ჰიუმან რაიტს ვოჩი“, 2005 წლის მარტი <http://hrw.org/english/docs/2005/03/10/russia10298.htm>

<sup>14</sup> ჩეჩნეთი - თავდასხმა ადამიანის უფლებებზე, საერთაშორისო ამნისტია <http://www.amnesty.org/russia/chechnya.html>

<sup>15</sup> ახალი ამბები ადამიანის უფლებებზე - რუსეთს გმობენ ჩეჩნების გაუჩინარების გამო. „ჰიუმან რაიტს ვოჩი“, 27 ივლისი, 2006, <http://hrw.org/english/docs/2006/07/27/russia13864.htm>

## ჩეჩენი ლტოლვილების ექსტრადიცია რუსეთის ფედერაციაში

ვინაიდან რუსეთის ფედერაცია, ჩეჩენი და ქისტი ლტოლვილების უკან დაბრუნების შემთხვევაში, შესაბამისად ვერ დაიცავს მათი უსაფრთხოების გარანტიებს, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლი და წამების საწინააღმდეგო კონვენციის მესამე მუხლი, ორივე უკრძალავს საქართველოს ლტოლვილების რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციას. როგორც ამ კონვენციის ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარე, საქართველოს მთავრობა ყოველთვის არ იცავს საკუთარ კანონებს.

როდესაც საქართველომ უარი განაცხადა რუსეთის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და ჩეჩენები მისთვის გადაეცა 2002 წლის სექტემბერში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველო ჩვეულებრივი, არაპოლიტიკური კრიმინალების მფარველობაში დაადასაშაულა. არაპოლიტიკური კრიმინალები, კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, არ კვალიფიცირდებიან ლტოლვილებად და არ სარგებლობენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამ პოლიტიკურ წნეხს დანებდა და რუსეთთან თანამშრომლობის პირობა დადო, რათა პანკისის ხეობაში აღმოეჩინა სხვადასხვა კრიმინალი და გადაეცა რუსეთის ფედერაციისათვის და იქ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო გაესამართლებინათ.

აღნიშნული თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის დღევანდლამდე გრძელდება, თუმცა, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ეს ურთიერთობა ნაკლებად ღიად მიმდინარეობს. ჰიუმან რაიტს ვოჩმა 2005 წელს საქართველოდან ჩეჩენთა რეპატრაციის ოთხმოცი ფაქტი აღწერა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული:

2005 წლის 28 მაისს, რუსეთის ხელისუფლებამ ორგანიზება გაუკეთა საქართველოდან 80 ჩეჩენის რეპატრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ძალის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია, გლუკი ამ რეპატრაციას არ თვლის ნებაყოფლობითად, რაკი ისინი არ ფლობდნენ ობიექტურ და სწორ ინფორმაციას წარმოშობის ქვეყანაში არსებული პირობების შესახებ.<sup>16</sup>

ჰიუმან რაიტს ვოჩმა საბოლოოდ დაასკვნა, რომ:

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის აპრილში, კანონში ლტოლვილთა შესახებ საქართველომ მიიღო ცვლილებები და რატიფიკაცია მოახდინა 1951 წლის კონვენციისა ლტოლვილის სტატუსის შესახებ, მისი შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა ლტოლვილის განსაზღვრასა და დაცვაში არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მაგალითად, წინასწარი მოკვლევის მექანიზმები ხელს უშლის თავშესაფრის მაძიებელთა რეგისტრაციას, და არასაკმარისი დაცვა არსებობს უკან გაძევებისაგან იმათთვის, ვინც ლტოლვილის სტატუსის არმინიჭების გამო უკან დაბრუნების შემდეგ შესაძლოა აღმოჩნდეს წამებისა და ცუდად მოპყრობის მსხვერპლი.<sup>17</sup>

მომდევნო საქმე ნათელჰყოფს თუ რას გულისხმობდა ჰიუმან რაიტს ვოჩი მაშინ, როცა საუბრობდა „არასაკმარის დაცვაზე უკან გაძევებასთან დაკავშირებით“.

## კაშიევისა და ბაიმურზაევის საქმე

ისლამ კაშიევი (აქა ბექხან მულკოევი) და თემურ ბაიმურზაევი (აქა ხუსეინ ალხანოვი) იმ 13 ჩეჩენს შორის იყო, რომლების ქართველმა მესაზღვრეებმა 2002 წელს დააკავეს. საქართველოში არალეგალურად გადმოსვლიდან ორი თვის შემდეგ, აბდულ-ვახაბ შამაევის და კიდევ ოთხ სხვა დაკავებულ ჩეჩენს რუსეთში ექსტრადიცია გაუკეთდა, სადაც მათ ერთწლიანი პატიმრობა შეუფარდეს.

<sup>16</sup> <http://hrw.org/english/docs/2006/01/18/georgi12229.htm>

<sup>17</sup> „ადამიანის უფლებების მიმოხილვა – საქართველო“, ჰიუმან რაიტს ვოჩი, <http://www.hrw.org/english/docs/2006/01/18/georgi12229.htm>

სანამ მათი ექსტრადირება მოხდებოდა, ტელევიზიიდან შეიტყვეს, რომ ზოგი მათგანი დაუყოვნებლივ იქნებოდა ექსტრადირებული რუსეთის ფედერაციაში. როდესაც მათ მოსთხოვეს, რომ გაეთავისუფლებინათ საკნები დასალაგებლად, მათ უარი განაცხადეს ამაზე და ციხის ადმინისტრაციასთან შეხლა-შემოხლა მოუხდათ.

კაშიევმა და ბაიმურზაევმა მოახერხეს, თავი აერიდებინათ ექსტრადიციისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან საქმის გადადების შესახებ გადაწყვეტილების საშუალებით. თუმცა, აღნიშნულ ორ დაკავებულს კვლავ ედებოდა ბრალი საქართველოს ტერიტორიის არალეგალურად გადმოკვეთის გამო. 2004 წლის 6 თებერვალს, დაკავებიდან წელიწადნახევრის შემდეგ, კაშიევი და ბაიმურზაევი გაამართლეს და გაათავისუფლეს. საბოლოოდ, დანარჩენი ექვსი ლტოლვილიც, რომელიც ექსტრადიციას გადაურჩა, გაამართლეს.

გათავისუფლებიდან ორ დღეში კაშიევი და ბაიმურზაევი გაუჩინარდნენ. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ ეს ორი ჩეჩენი დაკავებულ იქნა ლარსის საბაჟოზე რუსეთში გადასვლის მცდელობისას. იმის გამო, რომ აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებისათვის არ იყო ცნობილი საქართველოში ლტოლვილთა საზოგადოება ვარაუდობდა, რომ ზემოაღნიშნული ჩეჩენები მათი გათავისუფლების შემდეგ დაიჭირეს და საიდუმლოდ მოახდინეს მათი ექსტრადიცია რუსეთში. რაკი საეჭვოა, რომ ორი ადამიანი, რომელიც იძებნებოდა რუსეთში, შეეცდებოდა გადაეკვეთა რუსეთის საზღვარი საბაჟოს გავლით, ადამიანის უფლებათა ცენტრი იზიარებს ჩეჩენ ლტოლვილთა საზოგადოების აზრს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჩეჩენ ლტოლვილთა საზოგადოების ბრალდების საპასუხოდ განაცხადა: „ეს უბრალოდ ბრალდებებია. ჩვენ არ გვჭირდება საიდუმლო ექსტრადიციები. მე შემაშფოთა ამ ინფორმაციამ [ექსტრადიციის ბრალდებამ]. რუსები იძახიან, რომ ისინი [კაშიევი და ბაიმურზაევი] დააკავეს რუსეთის საზღვარზე, რაც მე ნამდვილად რეალურად მეჩვენება“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ზემოაღნიშნული ჩეჩენები გაამართლა, საქართველოს პრეზიდენტი მაინც აცხადებდა: „ჩემი ინფორმაციით, ისინი ნამდვილად მებრძოლები არიან.“<sup>18</sup>

სარჩელი საბოლოოდ, 13 ლტოლვილის სახელით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა. 2005 წლის 12 აპრილს ევროპულმა სასამართლომ საბოლოო განაჩენი გამოიტანა საქმეზე „შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლტოლვილთა მოთხოვნა იმ ნაწილში, რომ მათ მიმართ მოპყრობა დაკავების დროს არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შემდეგი დასკვნა გამოიტანა:

„...ჩანს, მოსარჩელებს აცნობეს მხოლოდ ის, რომ ზოგი მათგანის ექსტრადიცია მოხდებოდა მალე, მაგრამ არ შეატყობინეს მათი კონკრეტული ვინაობა და ეს ინფორმაცია მათ მიეწოდათ მხოლოდ 2002 წლის 3 ოქტომბერს, შუადამისას და რამოდენიმე საათის შემდეგ ციხის თანამშრომლებმა უბრძანეს მათ, რომ დაეტოვებინათ საკნები არარეალური მიზეზების საფუძველზე. ხელისუფალთა მსგავსი ქმედება მიჩნეულია სიცრუის მცდელობად. სასამართლოს შეხედულებით, ქართველ ხელისუფალთა დამოკიდებულება და გზა, რითაც მათ მოახერხეს ძალისმიერი ექსტრადიცია, გამოიწვია მოსარჩელებისგან წინააღმდეგობის გაწევა. თუმცა, პატიმართა საქციელი არ ამართლებს დამატებითი ძალების გამოძახებას.“<sup>19</sup>

<sup>18</sup> „ინტერვიუ მიხეილ სააკაშვილთან, BBC, 2004 წლის 8 მარტი

<http://news.bbc.co.uk/2/hi/programmes/hardtalk/3543733.stm>

<sup>19</sup> საქმის მოკლე შინაარსი იხილეთ: [http://www.article42.ge/archive\\_cases.htm](http://www.article42.ge/archive_cases.htm)

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ შამაევის და 12 სხვა პირის ფაქტი ნათელჰყოფს, რომ საქართველოს მთავრობას გააჩნია დაუწერელი პოლიტიკა ჩეჩენთა რუსეთის ფედერაციაში უკან გაძევების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მართლაც არსებობს მსგავსი პოლიტიკა, იგი ეწინააღმდეგება ლტოლვილის სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლს და საქართველოს მთავრობამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყვიტოს მსგავსი ქმედებანი და განცხადებანი.

### ჰუსეინ იუსუპოვისა და ადამ ტალალოვის საქმე

2002 წლის 20 სექტემბერს შსს-ს ანტი-ტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლებმა პანკისის ხეობაში 25 წლის ჰუსეინ იუსუპოვი დააკავეს. იგი 5 დღის მანძილზე იყო დაკავებული სასამართლოს ბრძანებულების გარეშე. საქართველოს ხელისუფლება ირწმუნება, რომ იგი 25 სექტემბერს გაათავისუფლეს, თუმცა, გაათავისუფლებული იუსუპოვი თვალთ არავის უნახავს.

2003 წლის 12 თებერვალს გაუჩინარდა ჩეჩენი ლტოლვილი ადამ ტალალოვი. იგი ხემძღვანელობდა პანკისის ხეობაში ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაცემას. 41 წლის ჩეჩენი ლტოლვილი სახლიდან 12 თებერვალს გავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ხელმოსაჭიდი მტკიცებულება მწვავე დასკვნების გამოტანისათვის ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქმეების გარემოებები მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოს მთავრობის ძალით თუ იძულებით ამ ადამიანებმა სიცოცხლე რუსეთის ფედერაციაში, ამ ქვეყნის ხელისუფლების ხელში დაასრულეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრისათვის ასევე ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყო რუსეთის განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტს პანკისის ხეობაში. აღნიშნული ვიზიტის მიზანი იყო, რომ დაერწმუნებინათ ლტოლვილები, ცრუ მტკიცებულებებით დაბრუნებულიყვნენ რუსეთის ფედერაციაში, რაც უფრო უსაფრთხო იქნებოდა მათთვის.

ადამიანის უფლებათა ცენტრს სურს კვლავ გაუმეოროს საქართველოს მთავრობას, რომ ლტოლვილთა ნებისმიერი რეპატრაცია რუსეთის ფედერაციაში, ლტოლვილის სტატუსის შესახებ კონვენციისა და წამების საწინააღმდეგო კონვენციის მიხედვით, უნდა იყოს ნებაყოფლობითი და არა ზეწოლისა თუ მოტყუების შედეგად განხორციელებული.

### სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი

კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ მუხლი 16:

ყოველი მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე აღკვეთოს არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის აქტები, რომლებიც შეესაბამება I მუხლის შესაბამის წამების განსაზღვრებას და როდესაც ასეთ აქტებს ახორციელებს სახელმწიფო თანამდებობის პირი და სხვა ოფიციალური პირი, ან ხორციელდება მათი წაქეზებით, ნებართვით ან უსიტყვო თანხმობით...

როგორც ქვემოთ მოყვანილი საქმეების მიხედვით ხდება ნათელი, როდესაც დევნილები საქართველოს სისხლის სამართლებრივი სისტემის შესწავლის ობიექტები ხდებიან, ისინი ხშირად სერიოზული

ზეწოლის ქვეშ ექცევიან, რაც სრულიად არღვევს ხსენებული კონვენციის მე-16 მუხლის პრინციპებს. სახელმწიფო მოხელეები, როგორც ცნობილია, ხშირად იყენებენ ძალისმიერ მეთოდებს ქალების მიმართაც.

### ქართველი სამართალდამცავი სისტემა და ლტოლვილი ქალები

2004 წლის 4 აგვისტოს, ქართველმა სამართალდამცველებმა პანკისის ხეობის სოფლებში, დუისში, ჯოყოლოსა და ხალასწანში, ჩაატარეს 'კრიმინალური წმენდა'. ოპერაციის დროს, თანამშრომლებმა განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს ქალების მიმართ. მათ სასტიკად სცემეს 14 ჩეჩენი ქალი, რომელთაგან 12 ახმეტის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოთხ მათგანს ტვინის შერყევა დაუდგინეს. ერთ-ერთი დაზარალებული ქალბატონი ფეხმძიმედ იყო. ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბარში ლტოლვილებმა განაცხადეს, რომ თანამშრომლებმა ქალები მუხლებზე დააჩოქეს და მერე კონდახებით ცემეს.<sup>20</sup>

### რუსტამ ანზოროვის საქმე

2004 წლის 24 აგვისტოს, თბილისში ქართველმა სამართალდამცავებმა, ანონიმური ინფორმაციის საფუძველზე, დააპატიმრეს სამი ჩეჩენი ეროვნების ადამიანი, - რუსტამ ანზოროვი, ადამ ბაისუევი და ისლამ დონაევი. ინფორმაციის მიხედვით, მათ ჰქონდათ დამალული იარაღი. ჩხრეკის დროს, პოლიციელებმა ანზოროვი ძალით გადმოიყვანეს მანქანიდან და იარაღის კონდახით სცემეს. გამომდინარე ანზოროვის ჩეჩნური წარმოშობიდან, მას არც ქართული ესმოდა და ვერც რუსულად ლაპარაკობდა. შესაბამისად, მან ვერ დაამყარა კონტაქტი პოლიციელებთან. ენობრივი ბარიერი სერიოზული გაუგებრობის მიზეზი გახდა. პოლიციელებმა ვერ შესძლეს ანზოროვისათვის აეხსნათ მისი დაპატიმრების მიზეზი. მოგვიანებით, თბილისის პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის დროს, ანზოროვი ამტკიცებდა, რომ პოლიციელები კვლავ განაგრძობდნენ მის ცემას. მისი გათავისუფლების შემდეგ ჩატარებულმა დამოუკიდებელმა ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ანზოროვი ბლავვი იარაღით იყო ნაცემი.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნის ხელისუფლებას უჭირს მუდმივად აკონტროლოს თავისი სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობა, ადამიანის უფლებათა ცენტრი შეშფოთებულია საქართველოს ხელისუფლების გულგრილობის გამო, რომელსაც ის იჩენს სამართალდამცავთა მიერ ჩეჩენი დევნილების შეურაცხყოფელი დამოკიდებულების მიმართ. წამების წინააღმდეგ კონვენციის მიხედვით, უსიტყვო თანხმობაც კი შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო მოხელეების მიერ 'სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავ' მოპყრობად. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოითხოვს, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს მკაცრი ზომები თავისი წარმომადგენლების მიერ ლტოლვილებზე ზეწოლის აღსაკვეთად.

<sup>20</sup> წყარო: ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი, 2004 წლის ანგარიში, 'ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან' - ადამიანის უფლებები საქართველოში 'ვარდების რევოლუციის' შემდეგ. (2005), გვ. 21. ელექტრონული მისამართი <http://www.humanrights.ge/eng/files/REPORT.pdf>

## სასამართლოს ხელმისაწვდომობა

საერთაშორისო კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ, მუხლი 16, აცხადებს:

ყველა ლტოლვილი, ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მისი რჩეული საცხოვრებელი ადგილია, მისი მოქალაქეობის მსგავსი მდგომარეობით ისარგებლებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების, კერძოდ იურიდიული დახმარების შესახებ....

## ვისამი ტუტუევის საქმე

2004 წლის 9 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოტყუებით დააკავეს ჩეჩენი ლტოლვილი, ვისამი ტუტუევი, რომელიც თბილისში, საინფორმაციო სააგენტო კავკაზ-ცენტრს ხელმძღვანელობდა. ის შეხვედრაზე ჟურნალისტთან გასასაუბრებლად მივიდა, სადაც ჟურნალისტის ნაცვლად სამართალდამცავები დახვდნენ. ტუტუევის დაკითხვა ხუთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მას, მთელი ამ დროის განმავლობაში, არ მისცეს ადვოკატთან დაკავშირების უფლება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ თუ ბრალდებული ითხოვს ადვოკატთან დაკავშირებას გამოძიების ან სასამართლო პროცესის დროს, სახელმწიფო ვალდებულია დაუნიშნოს ადვოკატი საკუთარი ხარჯებით, ამას გარდა, ბრალდებულს უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით მოიძიოს ადვოკატი. ვინაიდან ტუტუევი ლტოლვილი იყო და სასამართლო მისაწვდომობასთან დაკავშირებით მას იგივე უფლებები ჰქონდა, რაც ამავე ქვეყნის მოქალაქეს, ქართულმა მხარემ დაარღვია კონვენცია, როცა დაკითხვისას უფლებებელს ტუტუევის პროცედურული უფლების დაცვა.

## ხიზრი ალდამოვისა და სხვათა საქმეები

2002 წლის 7 დეკემბერს, თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ჩეჩენი ლტოლვილები და ჩეჩენური ეროვნების მქონე საქართველოს მოქალაქეები დააკავეს. დაკავების მიზანი მათგან თითო ანაბეჭდების აღება და სურათების გადაღება იყო. დაკავების დროს შსს თანამშრომლებს მათთვის არ უჩვენებიათ არც დაპატიმრების ორდერი და არც მოწმობები. უფრო მეტიც, დაკავებულებს არ მისცეს უფლება დაკავშირებოდნენ ადვოკატს არც დაკავებამდე და არც მის შემდეგ. დაკავებულთა შორის იყო საქართველოში ჩეჩენური დიასპორის თავჯდომარე ხიზრი ალდამოვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა. ამას გარდა, სამართალდამცველებმა გაჩხრიკეს ორგანიზაციის ცენტრალური ოფისი. დაკავებულთა საერთო რაოდენობა იყო 80, მათ შორის 70 ჩეჩენი, 7 აფრიკელი და რამოდენიმე პაკისტანელი. ყველა მათგანი იმავე დღეს გაათავისუფლეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ვერ ხედავს სამართლებრივ მიზეზს, რის საფუძველზეც შინაგან საქმეთა სამინისტროს შეეძლო ჩაეტარებინა მსგავსი მასობრივი დაპატიმრებების სერია. ამას გარდა, დაკავებულებს ნებისმიერ შემთხვევაში ჰქონდათ უფლება, დაკავშირებოდნენ ადვოკატს, რაც გათვალისწინებულია კონვენციითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 80-ე მუხლით.

## ვაჰიდ ბორჩაშვილის საქმე

2006 წლის 9 სექტემბერს, დაახლოებით დილის 6 საათზე, დუისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ჩეჩენი დევნილი ვაჰიდ ბორჩაშვილი ძალის გამოყენებით გამგეობის სამხედრო

განყოფილებაში წაიყვანეს. საქართველოს "კანონი უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ" აცხადებს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ვალდებული არ არიან ქართულ ჯარში იმსახურონ. მიუხედავად იმისა, რომ ბორჩაშვილი ცდილობდა ეჩვენებინა პოლიციის თანამშრომლებისათვის ლტოლვილის დამადასტურებელი მოწმობა, მათ ყურადღება არ მიაქცევს ამ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკითხს. პოლიციის თანამშრომლებმა ის გამთენიისას ყაზარმაში წაიყვანეს, სადაც ერთ თვემდე გაატარა და უფლება არ მიეცა დაკავშირებოდა ადვოკატს.

ბორჩაშვილის მამამ დახმარებისათვის ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართა. ცენტრმა ამ საკითხზე პრესკონფერენცია გამართა და მოითხოვა ბორჩაშვილის გათავისუფლება. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობა დათმობაზე წავიდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა და ბორჩაშვილის მამამ მიმართეს გენერალურ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რათა დეტალურად შეესწავლათ აღნიშნული საქმე და წარადგინეს შესაბამისი დოკუმენტები. შედეგად, ჩატარდა წინასწარი გამოძიება და ბორჩაშვილი გათავისუფლდა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას ბორჩაშვილი ადვოკატით უნდა უზრუნველყო. ამას გარდა, სამხედრო განყოფილების თანამშრომლები ვალდებული იყვნენ ბორჩაშვილისათვის დაკავებამდე გაეგზავნათ უწყება.

### მუჰამედ მაჰაევის საქმე

2005 წლის 30 დეკემბერს, ჩეჩნეთის მოქალაქე მუჰამედ მაჰაევი დააპატიმრეს. მან 2003 წელს დაარსა ორგანიზაცია 'იმედი', რომელიც პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს უწევდა მატერიალურ დახმარებას. 'იმედი' დაფინანსებას ძირითადად საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებიდან იღებდა. საქართველოს მთავრობამ ჩაატარა გამოძიება ამ ფონდების წარმომავლობის დასადგენად. წინასწარი გამოძიების დროს, ხელისუფლება ცდილობდა, აღმოეჩინა შესაძლო კავშირები 'იმედს', 'თალიბანის' და 'ალ-ქაიდას' ორგანიზაციებს შორის. თავდაპირველად, გამომძიებლებს მიაჩნდათ, რომ 'იმედის' ორი დამფინანსებელი ორგანიზაცია - 'მუსლიმ ჰელფენი' და 'მუსლიმ ჰენდსი' - დაკავშირებული იყო ფულის გათეთრებაში ექვმიტანილ ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც ტერორისტებსაც აფინანსებდნენ. თუმცა, ეს ორგანიზაციები წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციასთან თანამშრომლობენ. გამომძიებლებს არც უცდიათ დაკავშირებოდნენ მესამე მხარეს, ანუ დონორ ორგანიზაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.<sup>21</sup> გამომძიების დროს ჰუმანიტარული ორგანიზაცია 'იმედის' ოფისიდან გაიტანეს ყველა საბუღალტრო დოკუმენტი და კომპიუტერის პროცესორები, რის გამოც შეუძლებელი გახდა, ორგანიზაციას გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა გამომძიების დროს.

გამომძიების დასრულებისას, პროკურატურამ მაჰაევს ბრალად დასდო შედარებით მსუბუქი დანაშაულები - ყალბი დოკუმენტაციის წარმოება და ორგანიზაციის ბუღალტერთან ერთად 137,325 ლარის მითვისება. სასამართლო მოსმენის დროს მაჰაევს არ ჰქონია საშუალება გასცნობოდა სასამართლო ჩანაწერებსა და საბოლოო განაჩენს ჩეჩურ ენაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მესამე ნაწილი მოითხოვს, რომ ყველა საგამომძიებო და სასამართლო დოკუმენტი უნდა ითარგმნოს განსასჯელის მშობლიურ ენაზე. ვინაიდან მაჰაევს, როგორც ლტოლვილს, ჰქონდა უფლება 'ესარგებლა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის

<sup>21</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი: მუხლები 18, 58, 131



უფლებით, ისევე როგორც საქართველოს მოქალაქეს, ქართულმა მხარემ დაარღვია კონვენციით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლება, როდესაც არ უზრუნველყო მაჰავეი თარჯიმნის დახმარებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს სასამართლო სისტემის თანამშრომლებს, რომ გაითვალისწინონ, როგორც საკუთარი კანონები, ასევე ლტოლვილის სტატუსის შესახებ კონვენციის პირობები, რითაც გამომძიებელი ვედარ შეძლებს ხელი შეუშალოს განსასჯელს ადვოკატთან დაკავშირებაში. ამას გარდა, სასამართლომ ხელი უნდა შეუწყოს არაქართველ მსჯავრდებულებს უკეთ გაიგონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა. ამ დროს, მოსამართლე ვალდებულია ბრალდებული უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტებისა და საბოლოო განაჩენის თარგმანებით რუსულ ან მისსავე მშობლიურ ენაზე.

### ხელმისაწვდომობა დასაქმებაზე

საერთაშორისო კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მუხლი 17:

ხელშემკვრელი მხარეები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს დაქირავებულ შრომაზე უფლების საკითხში უქმნიან ყველაზე უფრო ხელსაყრელ გარემოს, რომლითაც იმავე პირობებში სარგებლობენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები...

საერთაშორისო კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ, მუხლი 26:

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ლტოლვილებს მისცემს საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და მის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლებას იმავე პირობებით რომლებსაც მსგავს შემთხვევებში ჩვეულებრი იყენებენ უცხოელთა მიმართ...

### პანკისის ხეობა ლტოლვილთა გეტოდ გადაიქცა

პანკისში ლტოლვილები ქვეყნის ეკონომიურად ყველაზე გაჭირვებულ რეგიონში ცხოვრობენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქარხნები და კოლმეურნეობები დაიშალა, რამაც პანკისის ადგილობრივი მოსახლეობა მასობრივად უმუშევარი დატოვა. რეგიონში საწარმოო დაწესებულებებისა და სხვა სახის სამუშაო ადგილების არქონა ნებისმიერი ადამიანისათვის - ადგილობრივი მკვიდრისა თუ ლტოლვილისათვის, ნიშნავს ცხოვრების დაბალ დონეს. ლტოლვილებს განსაკუთრებით არასასიამოვნო პირობებში უწევთ ცხოვრება. გლუკის მიერ გამოყოფილი კვების რაციონი, რომელსაც ლტოლვილები ორ თვეში ერთხელ იღებენ, საკმაოდ მცირეა. სანიტარული პირობები ძალიან ცუდია, განსაკუთრებით კომუნალურ თავშესაფრებში, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები ზედამხედველობენ პანკისის ხეობაში.<sup>22</sup> ის მცირერიცხოვანი ნაწილი მოსახლეობისა, რომლებიც მიწას ფლობენ პანკისში, საკმაოდ მწირ დამატებით შემოსავალს იღებს დაბალნაყოფიერი მიწებიდან. მაგრამ ლტოლვილების უმეტესი ნაწილი ამასაც მოკლებულია და შესაბამისად იძულებულნი ხდებიან სხვა გზა ეძებონ თავის სარჩენად.

ბევრი ლტოლვილი მზადაა, იმუშაოს საწარმოებსა და სამომსახურეო სექტორში, თუმცა, საქართველოში საკმაოდ ფეხმოკიდებული ნათესაობის ინსტიტუტის გამო, ის მცირე ოდენობის ანაზღაურების მქონე სამსახურებიც კი, რომლებიც პანკისის ხეობაში არსებობს, ნაციონალური მოძრაობის წევრთა მეგობრებს

<sup>22</sup> დანართი 1: ყოველთვიური კვების რაციონი და პირველადი მოხმარების სანიტარული ნივთები, რაც ჩეჩენ ლტოლვილებს ურიგდებათ

ან ნათესავებს აქვთ დაკავებული. ჩეჩენები თავად აცხადებენ, რომ სამსახურის ძებნისას დისკრიმინაციას განიცდიან. ეს შეიძლება არსებული სისტემის ან ეთნიკური დაძაბულობის შედეგი იყო, რაც ადგილობრივ ქართველებსა და ჩეჩენებს შორის მაინც არსებობს.

ის ფაქტი, რომ ლტოლვილები პანკისში სამსახურს ვერ შოულობენ, ბადებს კითხვას, თუ რატომ რჩებიან ისინი ეკონომიკურად გაჭირვებულ რეგიონში მაშინ, როცა შესაძლებელია, გადავიდნენ ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში, როგორცაა თბილისი ან ბათუმი. პასუხი მარტივია - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოთხოვნაა, ჩეჩენი ლტოლვილები დარჩნენ პანკისის ხეობაში, თუ ისინი არ არიან საქართველოს მოქალაქეები [ამ კატეგორიის ლტოლვილების რიცხვი საკმაოდ დაბალია]. აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონით ლტოლვილთა შესახებ, მუხლი 5, ნაწილი I, რომლის საფუძველზეც, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უფლება აქვს თავად განსაზღვროს მათი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი. მართალია, სამინისტრო აღნიშნულ კანონს საკმაოდ იშვიათად მიმართავს, საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ არღვევს საერთაშორისო კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მის 17-ე და 26-ე მუხლებს. ამ უკანასკნელის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან ლტოლვილები, შეუძლიათ სურვილისამებრ აირჩიონ საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სთხოვს საქართველოს პარლამენტს, ცვლილებები შეიტანოს ლტოლვილთა შესახებ კანონში კონვენციის შესაბამისად. ამის საფუძველზე, ლტოლვილებს მიეცემათ საშუალება, სხვა, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მსგავსად, თავად აირჩიონ საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი. ასეთ შემთხვევაში, ლტოლვილებს ექნებათ მეტი სტიმული, დაიწყონ სამსახურის ძებნა საქართველოში ან გაცილებით უკეთეს პირობებში იცხოვრონ, ვიდრე მათ აქვთ ამის საშუალება 'გეტოს' მსგავს პანკისის ხეობაში.

### ზიად იდიგოევის საქმე

2006 წლის 11 ივლისს ადამიანის უფლებათა ცენტრმა სარჩელი შეიტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ზიად იდიგოევის სახელით, მოთხოვნით - საქართველოს ხელისუფლებას გაეცა სამგზავრო დოკუმენტები იდიგოევის სახელზე. ამ დოკუმენტით იდიგოევს შესაძლებლობა მიეცემოდა გადასულიყო სხვა ქვეყანაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ განუხილავს აღნიშნული საქმე, მაგრამ მან საქართველოს პარლამენტს მისცა რეკომენდაცია, ცვლილებები შეეტანა კანონში ლტოლვილთა შესახებ. ამ ცვლილების შედეგად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ვალდებული იქნებოდა გაეცა დოკუმენტები ლტოლვილებზე, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებდნენ სხვა ქვეყნებში თავისუფლად გამგზავრებას, მათ შორის სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. ეს, თავის მხრივ, ლტოლვილებს შესაძლებლობას მისცემდა სამუშაო ეძებნათ მეზობელ ქვეყნებშიც.

### სამომავლო გეგმები

სამომავლოდ, ჩეჩენ ლტოლვილებს საქართველოში მხოლოდ სამი ალტერნატივა გააჩნიათ:

- ნებაყოფლობითი რეპატრაცია. ლტოლვილები ნებაყოფლობით უნდა დაბრუნდნენ რუსეთის ფედერაციაში;

- ნატურალიზაცია;
- მესამე ქვეყანაში გადასახლება. გლუკისა და მასპინძელი ქვეყნის დახმარებით, ლტოლვილები ეტაპობრივად გადავიდნენ მესამე ქვეყანაში.

### ნებაყოფლობითი რეპატრაცია

ჩეჩენი ლტოლვილებისათვის ჯერ კიდევ საშიშია რუსეთის ფედერაციაში დაბრუნება და ვერც მესამე მხარე ურჩევს ამას. გლუკიც არ უჭერს მხარს მათ რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებას. უფრე მეტიც, ჩეჩენთში ნაკლებად სავარაუდოა ახლო მომავალში სიტუაცია გამოსწორდეს. ამის გამო, ნებაყოფლობითი რეპატრაცია საქართველოში მყოფი ლტოლვილებისათვის მიუღებელია.

### ნატურალიზაცია

მოქალაქეობის მიღება შედარებით მისაღები ვარიანტია წარმოშობით ქისტი ლტოლვილებისათვის, რომელთა წარმომავლობა ახლოს დგას საქართველოსთან. ზოგიერთი ქისტი ლტოლვილი საქართველოშია დაბადებული და ახლა ოჯახის წევრებთან ერთად პანკისში ცხოვრობს; ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან.

სამწუხაროდ, საქართველოში მოქალაქეობის მიღება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ის შესაძლოა ათი წელი გაგრძელდეს. ბიუროკრატიის ჩარევის გამო, ბევრ ლტოლვილს ინტერვიუს დროს ამ თემაზე საუბარიც არ სურდა; მათ სრულიად დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობის სურვილი. პირველად ჩამოსვლისას მოქალაქეობის მიღება მათთვის სრულიად მისაღები იყო. თუმცა, წლების განმავლობაში ლოდინმა და საჯარო მოხელეების ცუდმა დამოკიდებულებამ მათ იმედი დაუკარგა, რომ ოდესმე საქართველოს მოქალაქეობას მიიღებდნენ.

კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ, მუხლი 34 აცხადებს:

ხელშემკვერილი სახელწიფოები შემდგომში დაგვარად გააადვილებენ ლტოლვილთა ასიმილაციასა და ნატურალიზაციას. კერძოდ, ისინი ყველა ღონეს იხმარენ რათა დააჩქარონ ნატურალიზაციის საქმის წარმოება და მასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისა და ხარჯების შემცირება.

საქართველოს პარლამენტმა, იმისათვის რომ შესრულდეს კონვენციის 34-ე მუხლში გათვალისწინებული ვალდებულებები და საშუალება მიეცეს ლტოლვილებს გახდნენ საქართველოს მოქალაქეები, უახლოეს მომავალში უნდა გადასინჯოს მიმდინარე კანონები ლტოლვილებზე მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით.

### მესამე ქვეყანაში გადასახლება

გადასვლა მესამე ქვეყანაში უნდა მოხდეს დეტალური განხილვის შემდეგ, რომელშიც ჩაერთვება არამარტო საქართველო ან გლუკი, არამედ მიმღები ქვეყნის მთავრობებიც. 2003 წლიდან 2005 წლამდე დაახლოებით 300 ლტოლვილი გლუკის დახმარებით გადავიდა მესამე ქვეყანაში - ძირითადად შვედეთში [დაახლოებით 70%] კანადაში და სხვაგან.

თუმცა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების შემდეგ, ცოტა ქვეყანადა გამოთქვამს ჩეჩენი ლტოლვილების მიღების სურვილს. ამ საყოველთაო ცვლილების გარდა, გლუკის პოლიტიკის

ცვლილებამ დიდად შეაფერხა გლუკი, დაადგინოს ის ქვეყნები, რომლებიც მზად არიან მიიღონ ლტოლვილები. ასევე შეფერხდა მათ მიერ ისეთი ქვეყნებთან მოლაპარაკება თავშესაფრების მოწყობის თაობაზე, რომელთაც საქართველოში წარმომადგენლობები არ გააჩნიათ.

მესამე ქვეყნის მიერ ჩეჩენი ლტოლვილების მიღების უარყოფა, გლუკის პოზიცია მესამე ქვეყანაში გადასვლის თაობაზე იწვევს იმას, რომ ლტოლვილთა საკმაოდ მცირე ნაწილი ახერხებს მესამე ქვეყანაში გადასვლას. აქედან გამომდინარე, გლუკი თვლის რომ საქართველოში დარჩენილი ჩეჩენი ლტოლვილები უპირატესობით ისარგებლებენ, ვინაიდან ამ ჯგუფს ყველაზე ნაკლებად უნდა, გახდეს საქართველოს საზოგადოების ნაწილი.

### რეკომენდაციები

#### რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს

- საქართველოს პარლამენტმა უნდა შეცვალოს კანონი ლტოლვილთა შესახებ, რათა შეესაბამისობაში მოდიოდეს კონვენციასთან ლტოლვილთა სტატუსის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტმა უნდა ჩართოს შესავალ მუხლში, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გადმოჭრის საქართველოს საზღვარს უნდა განიხილებოდეს, როგორც ლტოლვილი, რომელსაც კონვენციით გათავალისწინებული ყველა უფლება ექნება, ვიდრე საქართველო მას ლტოლვილის სტატუსს მიანიჭებს.
- საქართველოს პარლამენტმა უნდა შეავსოს ლტოლვილთა შესახებ საქართველოს კანონში არსებული ლაფსუსი და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოსთხოვოს, გასცეს დროებით ჩასახლების ნებართვა იმ პოტენციურ ლტოლვილებზე, რომლებიც ითხოვენ ლტოლვილის სტატუსის მიღებას.
- საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები უნდა შეიტანოს კანონში ლტოლვილთა შესახებ, რომლის საფუძველზეც, მათ შეეძლებათ იცხოვრონ და იმუშაონ ნებისმიერ ადგილას, ისევე როგორც ამის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში.
- საქართველოს პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც, სტატუსის მქონე ლტოლვილებს გაუადვილდებათ საქართველოს მოქალაქეობის მიღება.

#### რეკომენდაციები საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მართლმსაჯულებას

- საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და მართლმსაჯულებამ ლტოლვილებს უნდა მისცეს იურიდიული საშუალება თავისი სტატუსი დაამტკიცოს, ვიდრე მას უკანონო ემიგრანტად გამოაცხადებენ.
- საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და მართლმსაჯულებამ ჩეჩენ და ქისტ ლტოლვილებს ხელი არ უნდა შეუშალოს საქართველოს მოქალაქეობის მიღებაში.

## დუმილი კლავს: ჩეჩენ ლტოლვილთა უფლებების შელახვა საქართველოში

- საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და მართლმსაჯულებამ რაიმე ქმედებით ან განცხადებებით, ცალსახად არ უნდა შეაფერხოს ლტოლვილთა გადმოსვლა რუსეთის ფედერაციიდან.
- საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და მართლმსაჯულებამ თავი უნდა შეიკავოს ლტოლვილების წინააღმდეგ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაში, რომელთა საქმზეც მიმდინარეობს გამოძიება ჩადენილი დანაშაულის გამო.
- საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და მართლმსაჯულებამ ლტოლვილებს უნდა მიანიჭოს იგივე პროცედურული უფლებები, რითაც საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ გამოძიებისა და სასამართლო პროცესების დროს.
- საქართველოს მართლმსაჯულებამ უნდა აამუშაოს ექსკლუზიური კანონი, რითაც ჩვენება განსასჯელის ან მოწმის წინააღმდეგ, რომლის პროცედურული უფლება იქნა დარღვეული ან არ მიეცა ადვოკატის დახმარების გამოყენების უფლება, არ იქნება უფლებამოსილი.
- საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და მართლმსაჯულებამ უნდა გადადგას ყველა ის აუცილებელი ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს ლტოლვილთა უფლებების დარღვევის ყოველი ფაქტის შესაბამისად გამოძიება და დამნაშავის დასჯა.

### რეკომენდაციები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობას საქართველოში

- გლუკმა უნდა სცადოს უფრო ეფექტური დახმარება გაუწიოს პანკისის ხეობის გარეთ მცხოვრებ ლტოლვილებს. ერთ-ერთი ასეთი საშუალება იქნება შიდა სახის დახმარება, რაც ითვალისწინებს კვების პროგრამის ფარგლებში ფულად დახმარებას. მართალია, ასეთი ტიპის დახმარება შესაძლოა გახდეს კორუფციის წყარო, მისი საშუალებით, ლტოლვილები აღარ იქნებიან შეზღუდულები საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის არჩევანში. სხვა შემთხვევაში, მათ უარი უნდა თქვან UNHCR-ის დახმარებაზე.
- გლუკმა უნდა გამოასწოროს თავისი დამოკიდებულება ლტოლვილთა მიმართ, რათა ჩეჩენ ლტოლვილებს შეექმნათ რეალისტური წარმოდგენა მათ შესაძლებლობაზე, გადავიდნენ სხვა ქვეყანაში. ამჟამინდელი მოლოდინი, რაც ლტოლვილებს გააჩნიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რეალობას არ შეესაბამება, და მათ ხელი ეშლის დაგეგმონ საკუთარი მომავალი საქართველოში. გლუკმა უნდა სცადოს, დაარწმუნოს, განსაკუთრებით ქისტი ლტოლვილები, რომ საქართველოში მათ შეუძლიათ შეიქმნან ნორმალური მომავალი თუ აქ დარჩენას გადაწყვიტენ და თავიდან დაიწყებენ ცხოვრებას.
- გლუკმა საკუთარი საქმიანობა უმჯობესია უფრო გამჭვირვალე და ღია გახადოს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. გლუკმა უნდა გააუმჯობესოს მისი ურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან და უფრო აქტიურად ითანამშრომლოს მის წარმომადგენლებთან ლტოლვილთა საკითხთან დაკავშირებით.

დანართი 1<sup>23</sup>

ყოველთვიური კვების რაციონი რაც ჩეჩენ ლტოლვილებს ეძლევათ

#	საქონელი/ერთადამიანზე	ერთეული	რაოდენობა	სიხშირე	შენიშვნა	
1	პურის ფქვილი	კგ	13.5	2 თვე	27 კგ ერთ ჯერზე	W
2	შაქარი	კგ	0.6	2 თვე	1.2 კგ ერთ ჯერზე	F
3	ლობიო	კგ	2.7	2 თვე	5.4 კგ ერთ ჯერზე	P
4	ზეთი	ლტ	0.75	2 თვე	1.5 ლტ ერთ ჯერზე	
5	რძის ფხვნილი	ქილა	0.5	2 თვე	1 ქილა ერთ ჯერზე	U
6	თევზის კონსერვი	ქილა	0.5	2 თვე	1 ქილა ერთ ჯერზე	N
7	მშრალი სუპი	პაკეტი	6.5	2 თვე	13 ცალი ერთ ჯერზე	H
8	შავი ყავა	გრ	200	2 თვე	400 გრ ერთ ჯერზე	C
9	იოდიზირებული მარილი	გრ	500	2 თვე	1 კგ ერთ ჯერზე	R

ყოველთვიური რაციონი პირველადი ჰიგიენური მოხმარების ნივთებზე რაც ჩეჩენ ლტოლვილებს ურიგდებათ

#	საქონელი/ერთადამიანზე	ერთეული	რაოდენობა	სიხშირე	შენიშვნა
1	საპონი	ცალი	1.5	2 თვე	3 ცალი ერთ ჯერზე
2	სარეცხის ფხვნილი	პაკეტი	0.5	2 თვე	1 პაკეტი ერთ ჯერზე
3	კბილის პასტა	ცალი	0.5	2 თვე	1 ცალი ერთ ჯერზე
4	კბილის ჯაგრისი	ცალი	1	2 თვე	1 ცალი ერთ ჯერზე
5	ჰიგიენური ხელსახოცები	პაკეტი	1.5	2 თვე	3 პაკეტი ერთ ჯერზე (12-60წლის ქალბატონებზე)

<sup>23</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა გლუკის წარმომადგენლობამ საქართველოში

დანართი II: პანკისის ხეობის სურათები



ლტოლვილები გლუკის დახმარებას იღებენ



ჩეჩენი ბავშვები



ლტოლვილები უფასო სამედიცინო დახმარებას იღებენ



ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საკლასო ოთახი



გოგონა ამზადებს თექას ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საკლასო ოთახში



ჩეჩენი ლტოლვილი ჯოყოლოში





ჩენი ლტოლვილი საჭმელს ამზადებს



ჩეჩენი ქალი



დუისის კომუნალური ცენტრი



ლტოლვილთა საწოლი ოთახი



ლტოლვილები ჯოყოლოში



ჩეჩნების პრესკონფერენცია ადამიანის უფლებათა ცენტრის ოფისში